



N 8 16

17/06/2016

**ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო
სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების
რეგულირების შესახებ**

*საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
61-ე მუხლის მეორე ნაწილის, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-2 და
მე-4 პუნქტის შესაბამისად,*

მუხლი 1. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირებასთან დაკავშირებით:

ა) ნინოწმინდის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოიყოს ადგილები დანართის შესაბამისად;

ბ) ამ განკარგულებით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ობიექტების გარდა, საარჩევნო სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში;

მუხლი 2. საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება აკრძალულია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე: საკულტო ნაგებობაზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობაზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე;

მუხლი 3. დაევალოს, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია გამოაქვეყნოს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.ninotsminda.ge

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ახალქალაქი მაშტოცის ქუჩა 110).

სუმბატ კიურელიან



საკრებულოს თავმჯდომარე